ირაკლი მიქელაძე

ბიობიბლიოგრაფია

Ираклий Соломонович
МИКЕЛАДЗЕ
Биобиблиография

*

Irakli MIKELADZE
Biobibliography

„მეცნიერება“
2002



ირაკლი მიქელაძე

(1902–1984)

ბიობიბლიოგრაფია

გამომცემლობა «მეცნიერება»
თბილისი
2002

Ираклий Соломонович Микеладзе

Биобиблиография

□

Irakli MIKELADZE

Biobibliography

□

〈Мецниереба〉 Тбилиси
"Metsniereba" Tbilisi
2002

012 (ი. მიქელაძე) 016: 33
მ. 745

ნაშრომი წარმოადგენს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ი. მიქელაძის ბიობიბლიოგრაფიას. ბიობიბლიოგრაფია მოიცავს 1927 – 1984 წლების მასალას.

წიგნში მოცემულია ამ დიდი მეცნიერის ცხოვრება-მოღვაწეობის მიმოხილვა, მისი ცხოვრების ღირშესანიშნავი თარიღები.

ბიობიბლიოგრაფიაში ვრცელი ადგილი უკავია ი. მიქელაძის შრომათა ქრონოლოგიურ-ანბანურ ნუსხას. ცალკე ჩამოთვლილია ლიტერატურა მის შესახებ და მისი რედაქტორობით გამოქვეყნებული შრომები.

Труд представляет собой биобиблиографию академика Академии наук Грузинской ССР, заслуженного деятеля науки доктора экономических наук, профессора И. С. Микеладзе. Биобиблиография охватывает материалы за 1927-1984 гг.

В нем дано обозрение жизни и деятелности выдающегося ученного.

В биобиблиографии значительное место занимает хронолого-алфавитный перечень трудов И. С. Микеладзе. Отельно перечислены литература о нем и труды, опубликованные под его редакцией.

ბიობიბლიოგრაფიული სერიის მთავარი სარედაქციო კოლეგია:
ა. აფაქიძე (მთავარი რედაქტორი), ჯ. ლომინაძე, ე. გამყრელიძე, მ. სალუქვაძე, გ. გველესიანი, მ. ზაალიშვილი, თ. ონიანი, ო. ნათიშვილი, გ. თევზაძე, რ. მეტრეველი, გ. ციციშვილი, ნ. ფირცხალავა (მდივანი), დ. კოლოტაური.

შემდგენლები: ლ. კიკუაშვილი, გ. მგელაძე-ბორჯაძე
რედაქტორი: ნ. ფირცხალავა
ბიობიბლიოგრაფიული რედაქტორი მ. ბარკავა

Главная редакционная коллегия биобиблиографической серии: А. М. Апакидзе (гл. редактор),Дж. Ломинадзе, И. П. Гамкрелидзе, М. Е. Салуквадзе, Г. Г. Гвелесиани, М. М. Заалишвили, Т. Н. Ониани, О. Г. Натишвилли, Г. В. Тевзадзе, Р. В. Метревели, Г. Ш. Цицишвили, Н. Д. Пирцхалава (секретарь), Д. Л. Колотаури.

Составители: Л. А. Кикуашвили, Г. В. Мгеладзе - Борджадзе
Редактор Н. Д. Пирцхалава
Биобиблиографический редактор М. И. Баркава

მ 4406000000
M607(06)2002

© „მეცნიერება“ 2002

ირაკლი მიქელაძე

(სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის მოკლე მიმოხილვა)

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის ირაკლი სოლომონის ძე მიქელაძის მოღვაწეობა დიდი მრავალფეროვნებით ხასიათდება. იგი ავტორია მრავალი ათეული ნაშრომისა, რომლებიც ეძღვნება საქართველოს ეკონომიკის განვითარების აქტუალურ საკითხებს. ამ ნაშრომებმა დიდი როლი შეასრულა, ერთი მხრივ, საქართველოს ეკონომიკის განვითარების მიმართულებათა მიზანშეწონილი ვარიანტების შერჩევის საქმეში და, მეორე მხრივ, შექმნა საფუძველი ეკონომიკური მეცნიერების წინსვლისა და ქართველი ეკონომისტთა კადრების მომზადებისათვის.

ი. მიქელაძის მოღვაწეობა მარტო მეცნიერული მუშაობით არ ამოიწურებოდა. იგი მრავალი წლის მანძილზე მუშაობდა საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის საპასუხისმგებლო თანამდებობებზე და უშუალოდ მონაწილეობდა საქართველოს ეკონომიკის პრაქტიკული საკითხების გადაწყვეტაში. იგი მხურვალედ ეხმაურებოდა თანამედროვე აქტუალურ საკითხებს და ახალ მოვლენებს, რომელსაც საქართველოს ეკონომიკური ცხოვრება აყენებდა.

ი. მიქელაძე დაიბადა 1902 წლის 3 აგვისტოს, საქართველოში ცნობილი ინტელიგენტის ოჯახში. მისი მამა – სოლომონ გიორგის ძე მიქელაძე თავისი დროის დიდად განათლებული და პროგრესულად მოაზროვნე კაცი იყო, სპეციალობით იურისტი (დაამთავრა ოდესის უნივერსიტეტი). იგი ჯერ ქუთაისში და შემდგომ თბილისში

მოსამართლედ მუშაობდა. ამავე დროს ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას. 1906 წელს მან გამოაქვეყნა რუსულ ენაზე კანონმდებლობის მოკლე სახელმძღვანელო ვაჟთა გიმნაზიისათვის. გარდაიცვალა 1922 წელს. ირაკლი მიქელაძის დედა – იულია დავითის ასული ჩხეიძე – ასევე დიდად განათლებული ადამიანი იყო, ასწავლიდა მუსიკას და ეწეოდა აღმზრდელობით მუშაობას ქ. ქუთაისის სკოლებში.

ირაკლი სოლომონის ძე მიქელაძე 1919 წლამდე ქ. ქუთაისში სწავლობდა. შემდგომ იგი გადმოვიდა ქ. თბილისში და 1921 წელს დაამთავრა საშუალო სკოლა.

იმავე წელს მან სწავლა დაიწყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ-ეკონომიკურ ფაკულტეტზე, რომელიც 1926 წელს დაამთავრა.

1926-1929 წლებში მუშაობდა უფროსი ეკონომისტის თანამდებობაზე ამიერკავკასიის ვაჭრობის სახალხო კომისარიატში (1926-1927 წწ.), ინსტრუქტორად – ამიერკავკასიის ფინანსთა კომისარიატში (1927-1928 წწ.), უფროს ეკონომისტად – სავაჭრო ბირჟაში (1929 წ.).

1929-1977 წლებში საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტში ჯერ განყოფილების გამგე (1954 წლამდე) იყო, ხოლო შემდეგ საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე.

პრაქტიკული მუშაობის პარალელურად იგი ეწეოდა სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას. 1930-1960 წლებში იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტის დეკანი, მრეწველობის ეკონომიკის კათედრის გამგე, სოციალისტური დაგეგმვისა და დარგობრივი ეკონომიკის კათედრის გამგე. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში კითხულობდა ლექციებს მრეწველობის ეკონომიკაში, სახალხო მეურნეობის დაგეგმვაში, სამრეწველო საწარმოს ორგანიზაციასა და დაგეგმვაში.

ირაკლი მიქელაძე იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, მისი ეკონომიკური ფაკულტეტის, სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული ეკონომიკისა და დაგეგმვის ინსტიტუტის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოების წევრი, აგრეთვე, საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიასთან არსებულ ეკონომიკურ გამოკვლევებში მათემატიკური მეთოდების გამოყენების საქართველოს ტერიტორიული სექციის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე.

1940 წელს მან დაიცვა საკანდიდატო, ხოლო 1960 წელს

სადოქტორო დისერტაცია. მიენიჭა პროფესორის, ხოლო 1962 წელს – საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება, 1969 წელს აირჩიეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად.

ი. მიქელაძე თავისი მოღვაწეობის მანძილზე დაჯილდოვდა მედლებით – „კავკასიის დაცვისათვის", „1941-1945 წწ. დიდ სამამულო ომში შრომითი მამაცობისათვის" და ორი საპატიო ნიშნის ორდენით. 1972 წელს შრომისათვის: – „საბჭოთა საქართველოს ეკონომიკა" – მას, როგორც ამ ნაშრომის ერთ-ერთ ძირითად ავტორს, მიენიჭა საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემია.

ირაკლი მიქელაძე გარდაიცვალა 1984 წლის 23 აგვისტოს.

ეკონომიკის დარგში ი. ს. მიქელაძის მეცნიერული მოღვაწეობა მოიცავს მეტად მრავალფეროვან საქართველოს ეკონომიკის თითქმის ყველა სფეროს.

პირველ ყოვლისა, ი. მიქელაძის სპეციალური კვლევის საგანი იყო საქართველოს სახალხო მეურნეობის განვითარების მიმართულებანი. იგი დიდ ყურადღებას აქცევდა საქართველოს ბუნებრივი რესურსების გამოვლენისა და მათი ოპტიმალურად გამოყენების საკითხებს. აღსანიშნავია, რომ მან ჯერ კიდევ 1935 წელს დ. როდონაიასთან თანაავტორობით გამოსცა ნაშრომი „თეძმის ტუფი და მისი გამოყენება", 1940 წელს „საქართველოს სათბობის ბალანსი", შეიძლება ითქვას, რომ ყველა მის ნაშრომებში, რომელიც ეხება საქართველოს საწარმოო ძალების განლაგებას და მის ეკონომიკურ-გეოგრაფიულ დახასიათებას, პირველ პლანზე წამოწეულია რესურსების შეფასებისა და მათი მიზანშეწონილად გამოყენების საკითხები.

ი. მიქელაძის ყურადღების ცენტრში იყო საქართველოს ენერგეტიკული რესურსების შესწავლა და მათი გამოყენების ოპტიმალური ვარიანტების დასაბუთება, საქართველოს ელექტროფიკაციის გენერალური გეგმის შედგენის საკითხები, აქვეყნებდა შრომებს კაპიტალური მშენებლობის პრობლემებზე, სადაც სპეციალურად ეხებოდა საშენი მასალებით საქართველოს უზრუნველყოფას.

არ არის დარგობრივი ეკონომიკის თითქმის არცერთი მნიშვნელოვანი საკითხი, ი. მიქელაძის ყურადღების ობიექტი რომ არ გამხდარიყო: ფინანსები, პროდუქციის თვითღირებულების შემცირების გზების ძიება მრეწველობასა და მის ცალკეულ

დარგებში, შრომისნაყოფიერების ამაღლების პრობლემა, საქართველოს მრეწველობაში, სპეციალიზაცია და კოოპერირება საქართველოს მრეწველობაში, რეგიონთაშორისი, განსაკუთრებით კი ამიერკავკასიის რესპუბლიკებს შორის ეკონომიკური თანამშრომლობის პრობლემები, საქართველოში ელექტროტევად წარმოებათა განვითარების ეკონომიკური პირობები, საწარმოო ძალების განვითარებისა და განლაგების საკითხები, საქართველოს ელექტროფიკაციის გენერალური გეგმის შედგენის პრობლემები.

მიუხედავად ასეთი მრავალფეროვნებისა, მის შემოქმედებაში მაინც გამოიკვეთება რამდენიმე ძირითადი მიმართულება: საქართველოს ენერგეტიკული ბაზის შექმნა, საწარმოო ძალთა რაციონალური განლაგების განხორციელება და ამასთან დაკავშირებით სახალხო მეურნეობის ოპტიმალური დარგობრივი სტრუქტურის შექმნა. დიდი ყურადღების ღირსია მისი ნაშრომები, რომლებიც ეხება ტერიტორიული დაგეგმვის უაღრესად აქტუალური, თეორიული საკითხების განხილვას. შეიძლება ითქვას, რომ ი. მიქელაძე არის ტერიტორიული დაგეგმვისა და, საქართველოს ეროვნული მეურნეობის კომპლექსური განვითარების მეცნიერული მიმართულების მამათავარი. გავრცელებული აზრით, ი. მიქელაძე ყოფილი საბჭოთა კავშირის მასშტაბითაც კი პირველია იმ მკვლევართა შორის, რომლებიც სწავლობდნენ რეგიონალური დაგეგმვისა და რესპუბლიკებში სახალხო მეურნეობის კომპლექსური განვითარების საკითხებს.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ის გარემოება, რომ იმ დროს, როდესაც გაბატონებული იყო თვალსაზრისი დარგობრივი დაგეგმვის უპირატესობის შესახებ და პრაქტიკული დაგეგმვისა და მართვის მთელი პროცესი უპირატესად მხოლოდ დარგობრივი დაგეგმვის იდეას ემყარებოდა, პროფესორი ი. მიქელაძე გამოდიოდა ტერიტორიული დაგეგმვის სრულყოფისა და რეგიონთა სახალხო მეურნეობის კომპლექსური განვითარების აუცილებლობის პოზიციიდან, ე. ი. პოზიციიდან, რაც ასე აქტუალურია თანამედროვე პირობებში. მან 1959 წელს დაწერა შრომა „საქართველოს სახალხო მეურნეობის სპეციალიზაცია და კომპლექსური განვითარება". ეს ნაშრომი გამოქვეყნებული იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობის მიერ რუსულ ენაზე, ხოლო ხელმეორედ გამოიცა 1964 წელს მოსკოვში გამომცემლობა „მეცნიერების" მიერ აკადემიკოს ნეკრასოვის რედაქტორობით.

საკავშირო საგეგმო კომიტეტის საწარმოო ძალთა განვითარების განყოფილების უფროსი ვ. ფ. პავლენკო წერდა: «Вторым направлением, тесно связанным с рассмотренным и получившим широкое развитие после 1957 г., было исследование основных проблем развития и размещения производительных сил союзных республик и экономических районов, в частности специализации и комплексного развития их хозяйства, а также территориально-производственных связей. Работы в этом направлении развернулись как в центре, так и на местах. В 1959 г. вышла монография И. С. Микеладзе, положившая начало (ბაზი ჩემია-ქ. დ.) целой серии подобных работ по отдельным республикам и районам. В них содержался богатый, конкретный материал для территориального планирования» [1].

სპეციალიზაციისა და სახალხო მეურნეობის კომპლექსური განვითარების საკითხს მიქელაძე განიხილავს რეგიონთაშორისი ეკონომიკური კავშირების გაშლისა და განვითარების პრობლემასთან ერთად. 1962 წელს იგი წერს შრომას „ტერიტორიული დაგეგმვა და სარაიონთაშორისი სამეურნეო კავშირების სრულყოფა", 1968 წელს კი ჟურნალში – „საქართველოს სახალხო მეურნეობა" აქვეყნებს სტატიას „ტერიტორიული დაგეგმვის საკითხები". იმავე წელს რუსულ ენაზე მოსკოვის ჟურნალში „Плановое хозяйство" ქვეყნდება შრომა დარგობრივი და ტერიტორიული დაგეგმვის შესახებ. 1979 წელს რუსულ ენაზე ჟურნალში „ეკონომიკური თეორიები" მოთავსებულია მისი შრომა: „ტერიტორიული დაგეგმვის ზოგიერთი აქტუალური პრობლემა", 1980 წელს კი გამოქვეყნდა კაპიტალური ნაშრომი „ტერიტორიული დაგეგმვის პრობლემები".

ი. მიქელაძის ნაშრომებმა საყოველთაო აღიარება მოიპოვა. მათ შესახებ აზრი კარგად გამოიკვეთა ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორების, პროფესორების, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწეების გიორგი გველესიანისა და არჩილ გოკიელის მაღალ შეფასებებში. ისინი წერდნენ: „მიქელაძის ნაშრომთა შორის უნდა გამოიყოს მონოგრაფია „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის სპეციალიზაცია და კომპლექსური განვითარება", რომელშიც გამოკვლეულია საქართველოს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციის საკითხები, საქართველოს

[1] Павленко В. Ф. Территориальное планирование в СССР. Москва, 1975 г., стр. 77.

როლი შრომის საკავშირო სარაიონთაშორის დანაწილებაში, რაც რესპუბლიკის კომპლექსური განვითარების ამოცანებთან კავშირშია გაანალიზებული. ავტორი იხილავს დარგობრივ და რეგიონულ ფაქტორთა მოქმედებას და ასაბუთებს ტერიტორიული დაგეგმვის აუცილებლობას... საქართველოს სპეციალიზაციასა და კომპლექსურ განვითარებას ავტორი უკავშირებს სხვა რესპუბლიკებთან (მათ შორის, ამიერკავკასიის რესპუბლიკებთან) სამეურნეო კავშირების საფუძვლიან ანალიზს და განიხილავს ამ კავშირების რაციონალურობას. ნაშრომი დიდი რაოდენობის ფაქტობრივი მასალის ღრმა მეცნიერული განზოგადების საფუძველზეა აგებული. ი. მიქელაძის ამ ნაშრომის განსაკუთრებული მნიშვნელობა იმითაა გაპირობებული, რომ იგი წარმოადგენს საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი მოკავშირე რესპუბლიკის მაგალითზე სახალხო მეურნეობის სპეციალიზაციისა და კომპლექსური განვითარების შესწავლის პირველ ცდას".[1]

დიდია ირაკლი მიქელაძის ღვაწლი საქართველოს ენერგეტიკის განვითარების პრობლემათა შესწავლასა და დამუშავებაში.

ჯერ კიდევ 1929 წელს იგი წერს შრომას – „საქართველოს სსრის მრეწველობის ენერგეტიკული მეურნეობის რეკონსტრუქციის საკითხისათვის". ყველა შრომაში, რომელიც ეხება საქართველოს მრეწველობის განვითარებასა და საწარმოო ძალთა განლაგებას, სახალხო მეურნეობის განვითარების ძირითად საკითხებს, ყველგან პირველ პლანზე წამოწეულია ენერგეტიკული ბაზის შექმნისა და განვითარების პრობლემები.

ი. მიქელაძის ნაშრომებში განსაკუთრებით იკვეთება სახალხო მეურნეობის ინტენსიური განვითარების გზების დახასიათება. იგი დიდ ყურადღებას აქცევდა შრომისნაყოფიერების ამაღლებას, დანახარჯების შემცირების ფაქტორების გამოვლენას და მათ მოქმედებას მრეწველობის სხვადასხვა დარგებსა და მთელ სახალხო მეურნეობაში. 1941 წელს ჟურნალში „საქართველოს სოციალისტური მეურნეობა" დაიბეჭდა მისი სტატია „შრომის ნაყოფიერების აღმავლობა საქართველოს მრეწველობაში". 1948 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომებში გამოაქვეყნა გამოკვლევა „საქართველოს ელექტროტევად საწარმოთა განვითარების ეკონომიკური პირობები"; 1959 წელს რუსულ ენაზე გამოვიდა მისი

[1] „საქართველოს სახალხო მეურნეობის გამოჩენილი მკვლევარი და საზოგადო მოღვაწე". თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 112, 1965 წ.

ნაშრომი – „სპეციალიზაცია და კოოპერირება, როგორც შრომის ნაყოფიერების ამაღლების ფაქტორი".

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს აკადემიკოსი ი. მიქელაძის შრომები, მიძღვნილი საქართველოს სახალხო მეურნეობის განვითარების პერსპექტივებისადმი, ომის შემდგომი ხუთწლედების მიხედვით. უდიდესი ყურადღება დაიმსახურა მის მიერ 1966 წელს გამოქვეყნებულმა ნაშრომმა: „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების ტემპები და პროპორციები". ავტორი ამ ნაშრომში განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა იმ ღონისძიებათა სისტემის განხორციელების აუცილებლობას, რომელსაც უნდა უზრუნველეყო სახალხო მეურნეობის განვითარების ტემპების ოპტიმიზაცია. შრომაში ნათლადაა ნაჩვენები, რომ განვითარების ოპტიმალური ტემპების მიღწევისათვის აუცილებელია მრეწველობის დარგობრივი სტრუქტურის სრულყოფა, მატერიალური და შრომითი რესურსების რაციონალური გამოყენების პერსპექტივების განსაზღვრა, ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტისა და ეროვნული შემოსავლის სტრუქტურის დადგენა, ეროვნული შემოსავლის სტრუქტურის თავისებურებათა განსაზღვრა, საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების ზრდის ღონისძიებათა გათვალისწინება. ავტორის აზრით, საჭიროა ოპტიმალური პროპორციების მიღწევა არა მარტო მთლიანად საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის კომპლექსის მასშტაბით, არამედ მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო მეურნეობათა კომპლექსების მიხედვითაც. ეს დებულება ტერიტორიული დაგეგმვის აქტიურობის აუცილებლობის პოზიციიდან გამომდინარეობს. როგორც ეს დებულება, ასევე ნაშრომის სხვა დებულებანიც სათანადო მეცნიერული სიღრმითაა შესრულებული. ი. მიქელაძის ამ ნაშრომმაც უაღრესად მაღალი შეფასება მიიღო.

აკად. ი. მიქელაძის მეცნიერულ ინტერესებში საქართველოს ეკონომიკური ისტორიის საკითხებიც შედიოდა: 1980 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალ „მაცნეში გამოქვეყნდა მისი ნაშრომი: „საქართველოს სსრ მძიმე მრეწველობის ზოგიერთ მსხვილ საწარმოთა შექმნის ისტორიიდან".

სამეცნიერო შრომების გამოცემასთან ერთად ი. მიქელაძე დიდი ყურადღებით ეკიდებოდა სხვათა შრომების რედაქციისა და რეცენზირების საქმეს. მას 200-ზე მეტი რეცენზია აქვს დაწერილი. ი. მიქელაძე ბევრჯერ ყოფილა ოფიციალური ოპონენტი საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციებისა თბილისში, მოსკოვში, ერევანში,

ბაქოსა და სხვა ქალაქებში. მის ხელში გაუვლია ქართველი, სომეხი, აზერბაიჯანელი, რუსი, აგრეთვე, სხვა ეროვნებათა ავტორების საკვალიფიკაციო შრომებს.

ი. მიქელაძე მონაწილეობდა სამეცნიერო სესიებსა, კონფერენციებსა და სიმპოზიუმებში, როგორც საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქებში, ასევე საზღვარგარეთ. აღმოსავლეთმცოდნეობის საერთაშორისო კონგრესზე, რომელიც 1960 წელს მოსკოვში გაიმართა, მან წაიკითხა მოხსენება საქართველოს ეკონომიკისა და კულტურის შესახებ, რამაც დიდი ინტერესი გამოიწვია.

აკად. ი. მიქელაძის, ღვაწლის დახასიათებისას არ შეიძლება გვერდი ავუაროდ მისი, როგორც პედაგოგისა და ლექტორის განსაკუთრებულ ღირსებებს ეკონომისტთა მრავალ თაობაში, ალბათ არ მოიძებნება არცერთი მისი მოწაფე, განსაკუთრებული სითბოთი და პატივისცემით რომ არ იხსენებდეს მის ლექციებს, სადაც ნათლად ჩანდა პროფესიონალი ეკონომისტის ღრმა ცოდნა, უაღრესად ფართო ერუდიცია, უნარი თვითეულ სტუდენტამდე დაეყვანა ეკონომიკის რთული პრობლემების შინაარსი და რაც განსაკუთრებით აღსანიშნავია, მისი საოცრად მიმზიდველი დემოკრატიზმი.

სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობასთან ერთად, დიდია ი. მიქელაძის ღვაწლი საქართველოს მრეწველობის უმნიშვნელოვანესი ობიექტების მშენებლობის ტექნიკურ ეკონომიკურ დასაბუთებათა საქმეში. მისი უშუალო მონაწილეობით ჩატარდა ელექტრო-მეტალურგიულ და ელექტრო-ტექნიკურ წარმოებათა, რუსთავის მეტალურგიულ, ქუთაისის საავტომობილო, აზოტოვანი სასუქების, ოჩამჩირის კერამიკული მილების ქარხნების და სხვა მნიშვნელოვანი ობიექტების ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების შედგენის უმნიშვნელოვანესი სამუშაო.

ი. მიქელაძის სამეცნიერო, პედაგოგიურ, პრაქტიკულ და საზოგადოებრივ მოღვაწეობას ყოველთვის მაღალ შეფასებას აძლევდა საქართველოს და არა მარტო საქართველოს საზოგადოებრიობა და მისი ხსოვნა მარად დარჩება ჩვენი ხალხის ცნობიერებაში.

ქეთევან დადიანი

Ираклий Соломонович Микеладзе

(Краткий обзор научной и общественной деятельности)

Деятельность доктора экономических наук, профессора,заслуженного деятеля науки, академика Академии наук Грузинской ССР И.С.Микеладзе весьма разнообразна. Он является автором нескольких десятков трудов, посвященных актуальным и болезненным вопросам развития экономики Грузии. Работы И.С.Микеладзе сыграли значительную роль, с одной стороны, в определении выбора целесообразных вариантов направлений развития экономики Грузии, а с другой - создали основу для совершенствования экономической науки Грузии и подготонки для республики специалистов-экономистов.

Деятельность И.С. Микеладзе не ограничивалась научной работой. Он в течение длительного периода работал на ответственных должностях в Государственной плановой комиссии Грузии и принимал непосредственное участие в решении практических вопросов развития экономики Грузии. Он горячо отзывался на все новые явления хозяйственной жизни Грузии и занимал решительную позицию в обсуждении актуальных вопросов современности, выдвигаемых экономической жизнью Грузии.

И.С. Микеладзе родился в 1902 году 3 августа в семье видного грузинского интеллигента. Его отец - Соломон Георгиевич Микеладзе был весьма образованным и прогрессивным человеком своего времени. Он по специальности юрист (окончил Одесский университет), работал следователем вначале в гор. Кутаиси, а затем в Тбилиси. Одновременно он занимался педагогической деятельностью. В 1906 году для мужских гимназий им опубликован на русском языке краткий курс по законодательству.

Мать И.С. Микеладзе, Юлия Давыдовна Чхеидзе, также была весьма образованным человеком. Она преподавала музыку и занималась воспитательной работой в школах гор.Кутаиси.

И. С. Микеладзе до 1919 года учился в г. Кутаиси. Затем он переезжает в г. Тбилиси и в 1921 году заканчивает Тбилисскую среднюю школу.

В том же году он поступает на социально-экономический факултет Тбилисского государственного университета. Окончил его в 1926 году.

В 1926-1929 гг. он работает на должности старшего экономиста в Закавказском народном комиссариате торговли (1926-1927 гг.), инструктором в Закавказском комиссариате финансов (1927-1928 гг.), старшим экономистом в Торговой бирже (1929 г.). В 1929-1954 гг. И.С. Микеладзе работает заведующим отделом Госплана ГССР, а в 1956-1977 гг. заместителем председателя Государственной плановой комиссии Грузии.

Наряду с практической работой он занимается научно-педагогической деятельностью. В 1930-1960 гг. он занимает должность декана экономического факультета Тбилисского государственного университета, заведующего кафедрой экономики промышленности, заведующего кафедрой социалистического планирования отраслевой экономики. В период работы в Тбилисском государственном университете читает лекции по таким экономическим дисциплинам, как экономика промышленности; планирование народного хозяйства; организация и планирование промышленного предприятия.

Одновременно проф. И.С. Микеладзе был членом научных советов: Тбилисского государственного университета; экономического факультета этого же университета; Института планирования и управления при Госплане Грузинской ССР; Института экономики Академий наук Грузинской ССР. Вместе с тем он работал председателем территориальной секции Научного совета использования математики в научных исследованиях при Академии наук Союза ССР.

В 1940 году он защитил кандидатскую диссертацию, а в 1960 - диссертацию на соискание ученой степени доктора экономических наук. Позднее ему было присвоено звание профессора.

И.С. Микеладзе в течение своей долгой деятельности награжден: в 1944 г. - медалью "За оборону Кавказа"; в 1945 г. - медалью "За доблестный труд в Великой Отечественной войне 1941-1945 гг."; в 1962 г.

ему было присуждено звание заслуженного деятеля науки Грузинской ССР; в 1967 г. он был награжден орденом "Знак почета"; в 1969 г. избран академиком Академии наук Грузинской ССР, а в 1972 году за труд " Экономика Советской Грузии" ему была присуждена Государственная премия Грузинской ССР.

И.С. Микеладзе скончался 23 августа 1984 года.

Деятельность проф. И.С. Микеладзе в области экономической науки носит весьма разнообразный характер. Прежде всего необходимо отметить, что предметом специальных исследований И. Микеладзе является изучение направлений развития народного хозяйства Грузинской ССР, вопрос о том по какому пути должна развиваться экономика Грузии. Поэтому И.С.Микеладзе уделял особое внимание вопросам выявления естественных ресурсов Грузии и их оптимального использования. Примечательно, что уже в 1935 году он в соавторстве с Д. Родоная пишет специальную работу: "Вопросы использования тедзамского туфа", а в 1940 году работу, посвященную топливному балансу Грузии". Вместе с тем во всех своих работах, посвященных проблемам развития и размещения производительных сил Грузии, ее эконом-географической характеристике, на первый план выступают вопросы оценки природных ресурсов и их целесообразного использования. В центре его внимания было изучение энергетических ресурсов республики и обоснование оптимальных вариантов их использования. Он издает работы по проблемам капитального строительства, где специально касается вопросов обеспечения Грузии строительными материалами.

Можно с полной уверенностью утверждать, что в отраслевой экономике нет ни одного заслуживающего внимания вопроса, который не стал бы предметом пристального внимания И.С. Микеладзе: финансы; изучение путей снижения себестоимости продукции в промышленности в целом и по отдельным ее отраслям; проблемы повышения производительности труда; основные пути развития народного хозяйства Грузинской ССР; специализация и кооперирование в промышленности; межрегиональные экономические связи, в частности, вопросы экономического сотрудничества республик Закавказья; экономико-географическая характеристика промышленности Грузии; экономические условия развития в Грузии электроемких производств; технико-экономический обзор промышленности Грузии; вопросы развития и размещения производительных сил Грузии; проблемы составления генерального плана

электрификации Грузии. Все эти вопросы являются предметом изучения И.С. Микеладзе.

Несмотря на такое разнообразие проблем в его творчестве, все же выделяются несколько основных направлений исследований; вопросы, связанные с созданием энергетической базы Грузии, проблемы рационального размещения производительных сил и связанные с этим вопросы обеспечения оптимальной структуры народного хозяйства. Особого внимания заслуживают работы, посвященные весьма актуальным теоретическим вопросам территориального планирования. Можно утверждать, что И.С. Микеладзе является первым исследователем, который положил начало научному направлению по изучению в Грузии вопросов территориального направления и комплексного развития народного хозяйства. По распространенному мнению, И.С.Микеладзе даже в масштабе СССР является первым среди тех исследователей, которые привлекли внимание к изучению вопросов регионального планирования и комплексного развития народного хозяйства республик.

Особо следует отметить, что в то время, когда господствовали идеи, доказывающие преимущества отраслевого планирования и практически весь процесс отраслевого планирования и управления направлялся в соответствии с указанной позицией, проф. И.С.Микеладзе исходил из позиции необходимости совершенствования территориального планирования и комплексного развития регионов страны, т.е. из той позиции, которая столь актуальна в современных условиях. Он в 1959 году написал работу "Специализация и комплексное развитие народного хозяйства Грузинской ССР". Эта работа была издана на русском языке Тбилисским государственным университетом, а в 1964 году та же работа переиздана в Москве издательством "Наука" под редакцией академика Некрасова.

Начальник отдела размещения производительных сил Планового комитета СССР В.Ф.Павленко писал: "Вторым направлением, тесно связанным с рассмотренным и получившим широкое развитие после 1957 года, было исследование основных проблем развития и размещения производительных сил союзных республик и экономических районов, в частности, специализации и комплексного развития их хозяйства, а также территориально-производственных связей. Работы в этом направлении развернулись как в центре, так и на местах. В 1959 году вышла монография И.С.Микеладзе, положившая начало (подч.мною -

К.Д.) целой серии подобных работ по отдельным республикам и районам. В них содержался богатый конкретный материал для территориального планирования"[1].

Вопросы специализации и комплексного развития народного хозяйства И.С.Микеладзе рассматривает в связи с проблемой развития и расширения межрегиональных экономических связей. В 1962 г. он пишет труд: "Территориальное планирование и совершенствование межрегиональных экономических связей", в 1968 г. журнал "Народное хозяйство Грузии" печатает статью "Вопросы территориального планирования". В том же году в Москве журнал "Плановое хозяйство" помещает статью И.С.Микеладзе о территориальном и отраслевом планировании, в 1979 г. в журнале "Экономические науки" на русском языке издается его работа "Некоторые актуальные проблемы территориального планирования", а в 1980 г. издается его капитальный труд "Проблемы территориального планирования".

Этот труд имел большой успех и общее мнение об этой книге нашло свое отражение в той оценке, которую указанной работе дают: доктор экономических наук, профессор, заслуженный деятель науки Грузинской ССР, лауреат Государственной премии Георгий Гвелесиани и доктор экономических наук, профессор, заслуженный деятель науки Грузинской ССР Арчил Гокиели. Они считают, что ... "среди трудов И.С.Микеладзе необходимо выделить монографию "Специализация и комплексное развитие народного хозяйства Грузинской ССР", в которой исследованы вопросы специализации промышленности и сельского хозяйства Грузинской ССР, роль Грузии во всесоюзном разделении труда. Эти вопросы проанализированы в связи с задачами комплексного развития народного хозяйства республики. Автор рассматривает действие факторов отраслевых и региональных и обосновывает необходимость территориального планирования .... Вопросы специализации и комплексного развития Грузинской ССР автор увязывает с глубоким анализом экономических связей с другими республиками и, в первую очередь, с республиками Закавказья ... Работа построена на основе глубокого научного обобщения большого количества фактического материала. Особое значение данной работы И. Микеладзе предопределяется тем, что она представляет собой первую попытку изучения пробле-

[1] Павленко В. Ф. Территориальное планирование в СССР. Москва, 1975 г. стр. 77

мы специализации и комплексного развития народного хозяйства на примере одной союзной республики".

Особенно велики заслуги акад. И.С. Микеладзе в изучении и разработке вопросов развития энергетики Грузии. Еще в 1929 г. он пишет работу :"Вопросы реконструкции энергетического хозяйства Грузии". Во всех работах, касающихся развития промышленности Грузинской ССР, вопросов размещения производительных сил, основных вопросов развития народного хозяйства Грузии,предметом специального анализа являются проблемы,связанные с созданием и развитием энергетической базы хозяйства Грузии.

В работах И.С. Микеладзе особо выделяется характеристика интенсивных путей развития народного хозяйства. Он особое внимание уделяет вопросам повышения производительности труда, выявлению факторов снижения затрат, их действию в разных отраслях промышленности и в целом в народном хозяйстве. В 1941 г. в журнале "Социалистическое хозяйство Грузии" публикуется его статья "Производительность труда в промышленности Грузии". В 1948 г. в "Трудах государственного университета" помещена статья "Экономические условия развития электроемких предприятий Грузии", в 1959 г. на русском языке выходит его труд "Специализация и кооперирование как фактор повышения производительности труда".

Особого внимания заслуживают работы И.С. Микеладзе, посвященные перспективам развития народного хозяйства Грузии. В 1949 г. издается труд: "Народное хозяйство Грузинской ССР в новой Сталинской пятилетке"; в 1956 г. - "Народное хозяйство Грузии в шестой пятилетке (1956-1960 гг.)"; в 1959 г. - "Развитие народного хозяйства Грузии (1959-1965 гг.)"; в 1967 г. -"Народное хозяйство Грузии в новой пятилетке (1966-1970 гг.)". Особое внимание общественности привлек его труд, опубликованный 1966 г.,"Темпы и пропорции развития народного хозяйства Грузии". В этой работе автор особое внимание уделяет осуществлению той системы мероприятий, которые должны обеспечить оптимизацию темпов развития народного хозяйства. В ней совершенно ясно показано, что для осуществления оптимальных темпов развития необходимо совершенствование отраслевой структуры промышленности, определение перспектив рационального использования материальных и трудовых ресурсов, установление структуры совокупного общественного продукта и национального дохода республики.

определение особенностей структуры национального дохода, выработка мероприятий, направленных на рост производительности труда.

По мнению автора,оптимальные темпы должны быть достигнуты не только по народнохозяйственному комплексу Союза ССР, но и по народнохозяйственному комплексу отдельных республик. Это положение основывается на позиции необходимости оптимизации роли территориального планирования. Как это, так и другие положения, высказанные в данной работе, обосновываются на высоком теоретическом уровне и обладают соответствующей научной глубиной.

Указанная работа акад. И.С.Микеладзе также получила весьма высокую оценку.

Акад. И. С. Микеладзе не оставил без внимания и вопросы экономической истории. В 1980 г. в органе Академии наук Грузии "Мацне" он публикует работу: "Из истории создания некоторых предприятий тяжелой промышленности Грузии".

Наряду с изданием своих научных трудов И.С. Микеладзе с большим вниманием относится к редактированию и рецензированию работ других исследователей. Его перу принадлежат свыше 200 рецензий. Акад. И.С.Микеладзе часто выступал в качестве официального оппонента при защите кандидатских и докторских диссертаций. Через его руки прошли квалификационные работы авторов из Грузии, Армении, Азербайджана, России и других республик. Он неоднократно выступал при защите диссертаций разных специалистов-экономистов в Тбилиси, Москве, Ереване, Баку и других городах.

И.С. Микеладзе участвовал в научных сессиях, конференциях и симпозиумах как в городах Советского Союза, так и за рубежом. На международной конференции востоковедов, состоявшеся в 1960 г. в Москве, он выступил с докладом о подъеме экономики и культуры Грузии. Доклад этот получил большое признание.

При характеристике заслуг акад. И.С. Микеладзе нельзя оставлять без внимания его особые качества как педагога и лектора. Среди многих поколений экономистов Грузии нельзя будет найти ни одного его студента, не вспоминающего с особой теплотой его лекции, в которых с предельной ясностью проявлялись глубокие знания профессионала-экономиста, широкая эрудиция, способность довести до каждого студента содержание сложных проблем экономики и, что особо следует отметить, его крайне привлекательный демократизм.

Наряду с научной и педагогической деятельностью весьма велики заслуги акад. И.С. Микеладзе в деле технико-экономического обоснования строительства важнейших объектов Грузии. Он непосредственно участвовал в составлении технико-экономических обоснований Рустави металлургического завода, электрометаллургического производства, электротехнических производств, Кутаисского автомобильного завода, завода азотных удобрений, керамического завода в г. Очамчира, и других наиболее значительных объектов.

Научную, педагогическую, практическую и общественную деятельность акад. И.С. Микеладзе весьма высоко ценила общественность Грузии, а также многих республик Советского Союза, и память о нем вечно будет жива в сознании народа.

Дадиани К.М.

Irakli S. Mikeladze

(A Short Review of Scientific and Social Activities)

The work of Professor I.Mikeladze, Sc.(economics), Honoured Scientist, Member of the GSSR Academy of Sciences, was highly versatile. He is the author of several dozens of studies devoted to urgent and painful problems of the development of Georgian economy. His studies played major role in determining the expedient directions of development of Georgian economy and created the basis for the perfection of Georgian economic science and training professional economists for the republic.

Mikeladze's activity was not limited to scientific studies. For a long period of time he held various executive posts in Georgian State planning Comission and took an active part in solving practical issues of the development of Georgian economy. He was responsive to all new occurences in the economic life of Georgia and took a decisive stand in discussions of urgent problems of contemporaneity posed by the republic's economic life.

I. Mikeladze was born on 3 August 1902 into a family of a distinguished Georgian intellectual. His father, Solomon Mikeladze, was a well-educated and progressive man of his time. He was a lawyer(a graduate of Odessa University) and worked as a judge, first in Kutaisi, and then in Tbilisi. At the same time he engaged in pedagogical activities. In 1906 he published a short manual on legislation for boys schools. He died in 1922.

Mikeladze's mother, Julia Chkheidze, was also a highly educated person. She taught music and took part in the educational life of Kutaisi schools

Mikeladze studied in Kutaisi till 1919. Then he moved to Tbilisi where he finished a secondary school in 1921. In the same year he entered the social-economic department of Tbilisi State University, graduating in 1926.

In 1926-1929 Mikeladze worked: as a senior economist at Transcaucasian People's Commisariat of Trade (1926-1927), as an instructor at Transcaucasian Commisariat of Finances (1927-1928), as a senior economist at the Trade Exchange (1929). In 1929-1954 Mikeladze headed a department and in 1956-1977 was a vice-chairman at the GSSR State Planning Committee.

Along with practical work, he engaged in scientific-pedagogical work. In 1930-1960 he was Dean of the economics department and headed the Chair of Socialist Planning and Trade Economy at Tbilisi State University,

During his work at Tbilisi State University he delivered a course of lectures in such economic subjects as the economics of industry, national economy planning, organization and planning of industrial enterprises.

At the same time Prof. Mikeladze was a member of scientific councils: of Tbilisi State University; the economic department of the same University; of the Institute of Planning and Management attached to the state Planning Committee of the GSSR; Institute of Economics Acad. Sc., Georgian SSR. Simultaneously he worked as Chairman of the Territorial Section of the Academic Council for Use of Mathematics in Scientific Studies at the USSR Academy of Sciences.

In 1940 Mikeladze defended his candidate's thesis and in 1960 doctoral dissertation. Later he was granted the academic degree of professor.

During his long life Mikeladze was decorated with: the medal "For Valiant Labour During the Great Patriotic War 1941-1945" (1945) ,medal "For the Defence of the Caucasia" (1944), In 1962 the title of Honoured Scientist of the Georgian SSR was conferred on him. Mikeladze was decorated with two orders the "Badge of Honour" (1946 and1966). the"Order of the Red Banner" (1971), and the" Order of Friendship Among Nations" (1982). He was elected Member of the Georgian SSR Academy of Sciences in 1969. In 1972 for his work "The Economy of Soviet Georgia" he was awarded the State Prize of the GSSR.

He died on 23 August 1984.

Prof. Mikeladze's contribution to economic science is quite versatile. Primarily, note should be taken of the fact that Mikeladze's special studies were focused on the directions of the development of the GSSR national economy. Therefore he gave particular consideration to

problems of the identification and optimum utilization of the natural resources of Georgia. It is remarkable that already in 1935 Mikeladze, in collaboration with D. Rodonaia, wrote a significant study, "Questions of the Utilization of Tedzami Tufa". In 1940 he wrote an article about the fuel balance of Georgia. In all his studies devoted to problems of the development and distribution of the productive forces of Georgia and the economic-geographical characterization of the country, the assessment and expedient utilization of natural resources are central. Mikeladze focused his attention on the investigation of the power resources of the republic and finding the best ways of their utilization. He published several works on problems of capital construction, in which special attention is given to the problems of supplying Georgia with building materials.

Not a single important issue in the country's economy escaped Mikeladze's attention: finances, ways of cutting production costs in the entire industry and in its branches, problems of raising labour productivity, basic directions of the development of the national economy of Georgia, specialization and cooperation in industry, interregional economic relations of the Transcaucasian republics, economic-geographical characterization of Georgian industry, technical - economic survey of Georgian industry, problems connected with the development and distribution of the productive forces, problems of working out a general plan of electrification of Georgia, etc.

Despite such diversity of problems in his scientific work, several basic directions of research can be singled out: problems connected with the creation of the power base in Georgia, rational distribution of the productive forces and related questions of securing the optimum structure of the national economy. Special note should be taken of his studies of urgent theoretical problems of territorial planning. Mikeladze was the first scientist to start scientific research in Georgia on problems of the territorial direction and complex development of the national economy. He was one of the first researchers, even on the USSR scale, who drew attention to the study of problems of regional planning and complex development of the national economy of the republic.

It should be specially noted that at the time when views arguing the advantages of branch planning prevailed and practically the whole

process of branch planning and management was directed from this position, Prof. Mikeladze proceeded from the assumption that it was essential to perfect territorial planning and complex development of regions,i.e. from a position which is so urgent today. In 1959 Mikeladze wrote a study entitled: "Specialization and Complex Development of the National Economy of Georgian SSR", which was published in Russian by Tbilisi State University. In 1964 it was reprinted in Moscow by "Nauka" publishers,edited by Acad. Nekrasov.

V. Pavlenko, head of the department of the distribution of productive forces of the USSR Planning Committee, wrote:" The second direction,closely connected with the one considered and widely accepted after 1957, was investigation of the basic problems of development and distribution of productive forces of the Union republics and economic regions, in particular, of the specialization and complex development of their economy, and territorial-production ties as well. Work in this direction was placed on a broad footing in the centre as well as in the provinces. I.Mikeladze's monograph published in 1959 initiated a series of similar studies in separate republics and regions. They contained rich, concrete material for territorial planning".[1]

I.Mkeladze considers the problems of specialization and complex development of the national economy in connection with the problem of development and expansion of interregional economic links. In 1962 he wrote an essay - "Territorial Planning and Perfection of Interregional Economic Ties", in 1968 the journal "National Economy of Georgia" published his paper, "Problems of Territorial Planning". In the same year Mikeladze's paper on territorial and branch planning was published in Moscow. In 1979 the journal 'Economic Theories" published his essay "Several Urgent Problems of Territorial Planning". I.Mikeladze 's capital study "Problems of Territorial Planning" was published in 1980.

This book was very successful and the general opinion about it is expressed in the appraisal given by DSc. (Economics) Prof. G.Gvelesiani and Honoured Scientist and DSc.(Econ.)Prof.A.Gokieli They believe that "among Mikeladze's works the most notable is the monograph "Specialization and Complex Development of the National

---

[1] V.F. Pavlenko, Territorial Planning in the USSR, Moscow, 1975, P.77/In Russian/.

Economy of the Georgian SSR", in which problems of specialization of Georgian industry and agriculture as well as the role of Georgia in the All-Union division of labour are analyzed. These issues are investigated in connection with problems of the complex development of the republic's national economy. The author considers the operation of branch and regional factors and argues the necessity of territorial planning... The author relates the problems of specialization and complex development of the Georgian SSR with other republics and mainly with Transcaucasian republics... The study is based on a deep scientific generalization of vast factual material. The special significance of the given work lies in the fact that it is the first attemt at analysing problems of specialization and complex development of national economy, with the example of one republic as a model."

Mikeladze's contribution to the study of problems of the development of power in Georgia is considerable. As far back as 1929 he authored study Problems of Reconstruction of Power Economy in Georgia. In all his studies the development of industry in Georgia, problems of distribution of productive forces, basic problems of the development of the Georgian national economy problems connected with the creation and development of the power base of the Georgian economy form the subject to special analysis.

In Mikeladze 's studies attention is focused on the characterization of intensive ways of development of the national economy,viz. problems of raising the productivity of labour, identification of factors of cutting production costs, operation of the factors in different branches of industry and in the national economy. In 1941 the journal "Socialist Economy of Georgia" published Mikeladze's paper "Labour Productivity in the Industry of Georgia.". In 1948 in the Proceedings of Tbilisi State University his paper "Economic Conditions of Developing Electro-capacity Enterprises in Georgia" was published. In 1959 Mikeladze published his study, "Specialization and Cooperation as a Factor of Raising the Productivity of Labour".

Mikeladze 's studies of the prospects of development of the national economy of Georgia are worth of special notice. In 1949 he published the study "The national Economy of the Georgian SSR in the New Five-Year Plan", in 1956 "The National Economy of Georgia in the Sixth

Five-Year Plan (1956-1960)", in 1959 "The Development of the Georgian National Economy (1959-1965)", in 1967 "The Georgian National Economy in the New Five-Year Plan (1966-1970)".

Mikeladze 's study: "The Rates and Ratios of the Development of the Georgian National Economy" (published in 1966) attracted special attention of the public. In it the author gives special consideration to the implementation measures that must ensure optimization of the rates of development of the national economy. It is shown that to ensure optimum rates of development it is necessary to perfect the branch structure of industry, to determine the prospects of a rational utilization of material and labour resources, to determine the structure of the aggregate product and republic's revenue to work out measures directed at raising the productivity of labour. In author's view, optimum rates should be reached not only in the national economic complex of the USSR but in the national economic complexes of the individual republics. This thesis is based on the idea of the necessary optimization of territorial planning. This and other theses of the given work are founded on a high theoretical level and corresponding scientific depth,hence the high appreciation it received.

Mikeladze did not leave without attention questions of economic history. In 1980 he published his study: "On the History of the Creation of some Heavy Industry Enterprises in Georgia" in the journal "Matsne".

Along with the publication of his studies, Mikeladze gave special attention to the editing and reviewing of other researcher's works. More than 200 reviews belong to him. Acad. I. Mikeladze often served as an official opponent at the defence of Doctoral and Candidate's theses from Georgia, Armenia, Azerbaijan, Russia and other republics in defferent cities of the USSR.

He took part in scientific sessions, conferences and symposiums in the USSR and abroad. His paper on the development of the economy and culture of Georgia, presented at the 1960 International Conference of Orientalists in Moscow, was highly successful.

While speaking about Mikeladze, his special qualities as a teacher and lecturer cannot be overlooked. One can hardly find a former student of his who does not cherish warm memories about Mikeladze and his lectures - so full of deep professional knowledge, wide erudition, ability

to convey complicated problems of economy to every listener and his striking democratism.

Along with his scientific and pedagogical activities, Mikeladze contributed much to the technical and economic grounding of the construction of major plants in Georgia. He participated in working out the technical-economic basis of Rustavi Metallurgical Works, electro-metallurgical production, electro-technical enterprises, Kutaisi Motor Works, Nitrogen Fertilizers Plant, of the Ceramic Factory in Ochumchire, etc.

Acad. Mikeladze 's scientific, pedagogical, practical and social activities were highly appreciated by Georgian society and in other republics. He has left fond memories of himself.

K. Dadiani

ირაკლი მიქელაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ძირითადი თარიღები

1902 წ. 3 აგვისტოს დაიბადა ქ. ერევანში.
1919 წლამდე სწავლობდა ქ. ქუთაისში.
1921 წ. დაამთავრა საშუალო სკოლა ქ. თბილისში.
1921-1926 წწ. სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ-ეკონომიკურ ფაკულტეტზე.
1926-1927 წწ. ამიერკავკასიის საშინაო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის მთავარი ეკონომისტია.
1928 წ. საქართველოს ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს მთავარი ეკონომისტია.
1929 წ. სასაქონლო ბირჟის მთავარი ეკონომისტია.
1929-1954 წწ. საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის განყოფილების გამგეა.
1930-1960 წწ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი, პროფესორი, კათედრის გამგე და ფაკულტეტის დეკანია.
1936-1970 წწ. ხელმძღვანელობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტის სოციალისტური დაგეგმვისა და დარგობრივი ეკონომიკის კათედრას.
1940 წ. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „საქართველოს სსრ ელექტროენერგეტიკული მეურნეობის ძირითადი საკითხები".
1944 წ. დაჯილდოვდა მედლით „კავკასიის დაცვისათვის".
1945 წ. დაჯილდოვდა მედლით „მამაცური შრომისათვის დიდ სამამულო ომში 1941-1945 წწ".
1946 წ. დაჯილდოვდა „საპატიო ნიშნის ორდენით".
1954-1956 წწ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტის დეკანია.

1956-1977 წწ. საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარის მოადგილეა.

1960 წ. დაიცვა დისერტაცია ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად.

1961 წ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ეკონომიკის კათედრის გამგეა.

1962 წ. მიენიჭა „საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის“ საპატიო წოდება.

1966 წ. დაჯილდოვდა „საპატიო ნიშნის ორდენით“.

1969 წ. დეკემბერში აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად.

1971 წ. დაჯილდოვდა „შრომის წითელი დროშის ორდენით“.

1972 წ. მიენიჭა საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემია შრომისათვის „საბჭოთა საქართველოს ეკონომიკა“.

1982 წ. დაჯილდოვდა „ხალხთა მეგობრობის ორდენით“.

1984 წ. 23 აგვისტოს გარდაიცვალა.

ОСНОВНЫЕ ДАТЫ ЖИЗНИ И ДЕЯТЕЛЬНОСТИ И. С. МИКЕЛАДЗЕ

1902 г. 3 августа родился в г. Ереване.
1919 г. Учился в г.Кутаиси.
1921 г. Окончил среднюю школу в г.Тбилиси.
1921-1926 гг. Учился на социально-экономическом факультете Тбилисского государственного университета.
1926-1927 гг. Старший экономист ЗакНКВторговли.
1928 г. Старший экономист ЦСУ Грузинской ССР.
1929 г. Старший экономист Товарной биржи.
1929-1954 гг. Начальник отдела Госплана Грузинской ССР.
1930-1960 гг. Декан факультета, зав.кафедрой, доцент, профессор Тбилисского госуниверситета.
1936-1970 гг. Заведовал кафедрой социалистического планирования отраслевой экономики экономического факультета Тбилисского госуниверситета.
